

1935. 12.

საბჭოთავო  
კულტურის

# სამგონა



სამგონი  
4



# „პიონერი“

## № 4

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და  
საქ. ბანსახკომის ერთობი-  
ური ჟურნალი

# აკრილი

## 1935

წელიწადი 99-11

კლდედების მისამართი:

პრომის ქ., № 7.

ხ ა ხ ე ლ ბ ა მ ი,

საბ. და ახალ. საქმე

### შინაარსი

1. ბედნიერი ახალგაზრდები — შიორგი კაჭახიძისა . . . . .	88.
2. საოცარი ბალი — როდიონ ქორჭიასი . . . . .	1
3. დედის ღიმილი — ცკვიტისა . . . . .	5
4. წითელარმიელის ლექსი — ალ. ბილანიშვილისა . . . . .	6
5. დათვი — ივ. მაჭავარიანისა . . . . .	6
6. ორი ღვთისმშობელი — ა. სერაფიმოვიჩისა . . . . .	8
7. გაფიცვა პარმაში — მაქსიმ გორკისა . . . . .	9
8. ოქროს თევზი და მებადური — თარმ. ა. ახნაზაროვისა . . . . .	11
9. ჯილდო — ლეო ჩადუნეისა . . . . .	13
10. მაგნიტის მთა — ზორის ჩხეიძისა . . . . .	14
11. ღურგალი ჟორჟ ლაკური — დავ. შამათავოსი . . . . .	16
12. კოლმეურნის შვილი — გივი მელაძისა . . . . .	17
13. გველის, კუს, ხერცხლისა და ნიანგის წინაპრები . . . . .	13

ჟურნალი დასურათებულია ე. ახვლედიანის მიერ

სარედაქციო კომლენია: ა. გველესიანი, აკ. ჩხვირავილი (პ/მ. რედაქტორი),  
ბ. ზანაიძე, ლავრ. ზიზინაძე (პ/მ. მდივანი), შ. თაბუ-  
კაშვილი, შ. სინარულიძე, ბორის ჩხეიძე და მ. თომაძე.

# ბედნიერი ასალგაზრდები



სალამოთი მიგიდასთან  
მუშაობა მიყვარს დიდხანს:  
სუფთად ზატვა, სუფთად წერა  
და წიგნების წყნარად კითხვა.  
ამ დროს მამა იქვე ახლო  
ზის სკამზე და ჩუმად ფიქრობს...  
ლამფის შუქზე მოჩანს ისე,  
ქვეყნის საქვეს წყვეტდეს თითქოს.  
მან არ იცის კითხვა ჩემებრ,  
მან არი იცის ჩემებრ წერა,  
ჩემგანაც ჯერ, ვერ ისწავლა  
რიგიანად კალმის ჭერა.  
და რომ მიმზერს, თითქოს შურსო,  
გული სწყულება, დარდობს მუდამ;  
უზარმაზარ წიგნის გაშლა  
ჩემებრ კარგად მასაც უნდა.  
კიცხავს ძველ დროს, სიღარიბეს,  
ენატრება აყოს ბავშვი;  
მაშინ მასაც ექნებოდა  
სილამაზე წიგნის გაშლის,  
მაშინ იგივე შეაღებდა  
ჩვენი ქვეყნის სკოლის კარებს,  
კარგი სწავლით იქნებოდა  
მხიარული წინ თუ გარეთ.  
წინათ, როცა ბავშვი იყო,  
სიღარიბემ ტანჯა, თურმე:  
ლუკმა პურის გულისათვის  
დაჰყვებოდა ვაჭრის ურმებს.  
მდიდრის მახსურს დრო არ ჰქონდა  
აეწია თავი მაღლა,  
სიჭაბუკეც გაუფრინდა...  
ქალარაა, რა ქნას ახლა!  
დარდობს ისევ, დარდობს ჩუმად,  
წიგნისათვის ფიქრობს დიდხანს...

ჩემგანაც ჯერ ვერ ისწავლა  
რიგიანად წერა, კითხვა.  
როგორ უნდა კალმით, მერე,  
გამოკვეთოს აზრი ნათლად...  
ის ქვეყანა მძიმე, ძველი,  
მოსასპობი იყო მართლაც!  
დღეს მოზარდებს არ გვჭირდება  
ფულისათვის ვრცეხთ ჩრებში...  
ჩვენ არ გველის სილატაკე,  
სიჭაბუკე მამაჩემის.  
შეძლება გვაქვს წინ წავიდეთ,  
გვაქვს გულთბილი ზრუნვა, მოვლა,  
გაშლილი აქვს გზები ჩვენთვის  
საბჭოების ქვეყნის დოვლათს.  
ოთახებში არ გვაწუხებს  
უშეშობა, ცივი ქარი,  
საცოდავად არ ჭრიალებს  
ჩვენი სუფთა ბინის კარი.  
წინსვლის გზებზე ხელს არ გვიშლის  
მშობლის ენა, ფერი კანის,  
ერთნაირად მეტყველია  
„თავადის“ თუ „გლეხის“ გვარს.  
კარგი წიგნი, კარგი სკოლა  
ბავშვებისათვის ყველგან არის,  
ვალად გვაქვს მხოლოდ სწავლა,  
სიფხიზლე და ტემპი ჩქარი.  
ბედნიერი იაობა ვართ,  
ვეწაფებით ნათელ აზრებს,  
ჩვენ გაზაფხულს გვეძახიან  
და მხიარულ ახალგაზრდებს!

გიორგი კაჭახიძე

## საოცარი ბაღი

1  
— ფუ, ეს როგორი ქალაქია! ყველა ფეხის ნა-  
ბიჯზე ბაყაყები დახტიან, კოლოების ბზული ყუ-  
რებს აყრუებს და ცისმარე დღეს წვიმას დაუშვებს.  
აი, აი, თალიკო, შეხე, შეხე, როგორ გიყურებს ეგ  
გამოყვებულ ბაყაყი!  
მართლაც იქვე, ქუჩის პირას, არხთან ამოსულა  
ვეებერთელა ბაყაყი; გამართულად დამჯდარა, თვა-  
ლები გადმოუკაკლავს, გამალებით სუნთქავს, თეთ-  
რი მკერდი გამოუშვერია, მწვანე ქურჭი წამოუხ-  
ხამა და შეცქერის თალიკოსა და სანდროს. თალი-

კოსა და სანდროს კი ცხარე კამათი აქვთ: რომელი  
ქალაქი სჯობია — ტფილისი თუ ფოთი. მეორე  
დღეა გრძელდება ეს კამათი, და ტფილელმა სან-  
დრომ ფოთელი თალიკო დაჩაგრა.  
მართლაც, რა ამბავი ყოფილა ტფილისში!  
— უზარმაზარი სახლები... ისეთი სახლები, თა-  
ლიკო, რომ პა...პა...პა... მაღალი, სულ მაღალი...  
ტრამვაი ისეთი გრუხუნით დადის, რომ ხო...ხო...ხო...  
რამდენი კინოა, რამდენი თეატრი... ფუნქულორი  
გინახავს? ბაწარზე დაკიდებული ვაგონი მთაზე  
ადის...

თალიკომ კაბის კალთა ასწია, ცხვირი მოიხრცა და მკეპანედ უპასუხა:

— დიდი ამბავია შენი ფუნეკულორი! მამაჩემს ისეთი თოფი აქვს, რომ სულ ხოხობსა და იხვებს ნადირობს. შენ კი ფუნეკულორი!

— ხა...ხა...ხა... — გადაიხარხარა სანდრომ ისე ხმამაღლა, რომ ბაყაყი შეერთა, ახტა, თალიკოსა და სანდროს შუა ვახტა და იქვე არხში ტყაპანი მოიღო. მაგრამ არხიდან ახლა მეორე ბაყაყი ამოხტა და ისევ დასკუბდა ქუჩაზე.

— თალიკო, ნანა ლიმონს წყალი ჩაუსხი? — მოესმა თალიკოს დედის ძახილი.

— ჰო, დედა, ჰო! — შესძახა თალიკომ და უცებ ლურჯ თვალეში რაღაცამ იელვა, პატარა შუბლი ჩაუფიქრიანდა, თითი ტუჩებზე მიიღო და გარინდდა.

— რა იყო, თალიკო? — ჰკითხა სანდრომ.

— არაფერი! წამო ჩემთან, კაპარკინისაკენ.

— მარტო?

— გეშინია? — და თალიკომ მამაცად შესძახა — გეშინია? ქალაქელო ვაჟაკო, იქ კოლხიდმშენის ბაღია, სავსეა მუშებთ.

— წავიდეთ! — და სანდრომ ხელი მაგრად ჩაიქნია.

— შე შენ ისეთი რამე გაჩვენო, რომ შენი ფუნეკულორი დაგაიწყოს.

— ვნახოთ...

## 2

— ბავშვების ზესვლა აკრძალულია, — უთხრა სანდროს მეკარემ.

— ეგ ჩემთანაა, — ჩაურთო თალიკომ. — ჩემი ბიძაშვილია, მე მამასთან მივდივარ.

— ჰო...ო... მოდი, თალიკო, მოდი! — და მეკარემ ფართოდ გაიღიმა. — მამაშენი ეგერ მუშაობს, შეხე..

— შენ აქ გიცნობენ? — შეეკითხა სანდრო თალიკოს.

— მე ყველგან მიცნობენ, — ამაყად ასწია თავი თალიკომ.

სანდრომ ლაპარაკი შეცვალა.

— რა უნდა მიჩვენო აქ?

უცებ ზარი დაირეკა, და პეშებიც გამოიშალნენ ბაღის გზაზე.

— სწორედ კარგ დროს მოვედით. დასვენებაა.. მამა! მამა!

— ძია ჯაგუ! — დაუძახა სანდრომაც.

— რა ამბავია? — და ყაბალანწაკრულმა კაცმა თალიკოს თმებზე ხელი გადაუსვა, სანდროს კი ნიკაპი აუწია.

— აი, მამა, ჩვენი ბაღის საოცარი ხეები აჩვენე სანდროს. არ უნახავს. აბა სად ნახავდა?

— ჰო... წამო, ბიძი, გაჩვენებ. თუმცა რაღა წამო, აქედან დავიწყეთ. აი, ხედავ, მთელი ეს ბაღი და-

სერილია თარგებდ. თითო თარგზე თითო ჯიშის ხე ხარობს. ყველა ხეს სახელი და გვარი აქვს. ყველას პასპორტი აქვს მიკრული. ხომ ხედავთ. ეს ხეები ჩამოტანილი გვაქვს ყველა ცხელი ქვეყნიდან. ამ ბაღში ვცდივთ, იხიერებს თუ არა ჩვენს კოლხიდაში. აი, შეხე, ეს საპნის ხეა. მისი ქერქი რეცხავს.

— საპნის ხეო? — გაუკვირდა სანდროს.

— ჰო, — განაგრძო ძია ჯაგუმ. — ეს ხე ჩინეთიდან ჩამოვიტანეთ. ხედავ რა ყვითელი ქერქი აქვს? აი, ამ ქერქისაგან ამზადებენ საპონსა და შამპუნს. ქსოვილებს ამ შამპუნით წმენდენ. თესლიდან ზეთს ხდიან. ეს ზეთი მწვანე ფერისაა და საპნის მაგიერ ხმარობენ.

— მამა! მამა! — უმოწმებდა თალიკო მამას.

— ახლა ეს ხე გავიცნოთ, — განაგრძო ძია ჯაგუმ. — ეს ხეც ჩინეთიდან ჩამოვიტანეთ. მას ქონის ხე ჰქვია. მისი ნაყოფი ერთგვარ ქონს იძლევა, რომლისაგან კარტოფილის სანთელსა და ცვილს ამზადებენ. ჩინელები ამ ხის მერქნისაგან გრავიურებს ამზადებენ, ხოლო ფოთლებისაგან შავ საღებავს.

— აი, ეს არის კამფეტის ხე.

— რაო? კამფეტის ხეო? — და გაკვირვებულმა სანდრომ წარბები შუბლზე აზიდა.

— ჰო, კამფეტის ხე. რა არის გასაკვირი? — ისეთი დამშვიდებული კილოთი ჩაურთო თალიკომ, თითქოს ფოთში ყოველ ხეზე კამფეტები ყოფილიყო დაკიდებული.

— ჰო, კამფეტის ხე — განაგრძო ძია ჯაგუმ. — ისეთი ნაყოფი აქვს, რომ ქიშმიშის გემო აქვს, ძალზე ტკბილია და ამიტომ კამფეტის ხე ჰქვია.

— ეს კი ტუნგის ხეა, — კვლავ განაგრძობდა ძია ჯაგუ. — იაპონიიდან ჩამოვიტანეთ. მეტად ძვირფასი ხეა. მისი ტოტი იმდენი ოქრო ღირს, რამდენსაც იწონის.

— რას ამბობ, ძია! — განცვიფრდა სანდრო.

— მამა! მამა! რა არის გასაკვირი. — ისევ ჩაურთო თალიკომ.

— ჰო, ტუნგის თესლიდან ძვირფას ზეთს ხდიან. ტუნგის ხე ძვირფას ლაქს იძლევა. ტუნგის ქერქიდან თრიმლს აკეთებენ ტყავის მოსათრიმლადად? ტუნგის მერქანი კი მისწრება სახარატო ნაკეთებისათვის.

ძია ჯაგუ გაჩერდა ერთ პატარა ბუჩქთან.

— აი, თუ შენ ამ ფურცელს დაწყვეტ, სანდრო, დამენიძლავე.

— ამის გაწყვეტას რა უნდა? — და სანდრომ ფურცელს ხელი ჩაავლო.

— ერთბაშად აუ გაწყვიტო, ყმაწვილო! — და თალიკომ გადაისკისა.

სანდრო დაიძახა. ვერ გაწყვიტა ფურცელი. ხელს დააფურთხა, მერე ორივე ხელის გული ერთმანეთს წაუსვა და მაგრად ჩასჭიდა ფურცელს. გრძელი მწვანე ფურცელი ფერსაც არ იცვლიდა. სანდროს

კი სირცხვილისა და ბრაზისაგან აღმური ასდიოდა.

— ნუ წვალობ, ბიძია, შენ კი არა, ვაჟაკიც ვერ გაწყვეტს ამ ფურცელს. ჯერ ასეთი კაცი არ შემოსულა ამ ბაღში.

სანდრომ ფურცელს ხელი უშვა და წაილულ-ლულა:

— აბა მე რაღა ყარამანი მნახეთ.

სამივეს გაეცინა.

— ამას ჰქვიან დრაცენა. ახალწელანდიდანაა. ამიბი ბოჭკოსაგან. აკეთებენ თოკებსა და მაგარ ქსოვილებს.

— გასაგებიცაა, — დაასკვნა სანდრომ. — ის ლამაზი მწვანე ხე რა არის?

— იგი? ფეიხთა ჰქვიან. ბრაზილიდანაა ჩამოტანილი. იცი, — სად არის ბრაზილია? აი იქედან. გემიელი ნაყოფი აქვს, მარწყვის სუნი უდის და ოდიანია. ძალიან ძვირფასიანი ნაყოფი აქვს.

და ჩაჰყვენ თარგებს.

— ბევრი, ბევრი უცნაური ხე ყოფილა ამ საუცხოვო ბაღში, — თქვა სანდრომ.

— აბა რა გეგონა? — უთხრა თალიკომ. — მამა, ჭირიმე, ერთი ბატატი აუხსენი.

— ბატატი? ჰო...ო.. აი, აქეთ გავნაპირდეთ. ხე-

დაც, აი კარტოფილსა ჰგავს. ამისგან აკეთებენ რძეს, კატლეტს, სახამებელს, პურს, წვენს.

— ხა...ხა...ხა... — ვადაიხარხარა სანდრომ, — ძია მე მერვე კლასში ვარ, აგრე იოლაღვერ მომატყუებ...

— ხა...ხა...ხა... — სიცილითვე უპასუხა ძია ჯაგუმ. — მეც აგრე ვუთხარი ჩვენს აგრონომს: ძმაო, ორმოცი წლის კაცი ვარ, ვერ მომატყუებ-მეთქი. მაგრამ მართალი კი ყოფილა თურმე. ბატატისაგან 32 თავ საჭმელს აკეთებენ.

— უცნაური ამბავია, — მტკიცედ თქვა სანდრომ. — მე ჯერ ასეთი საუცხოვო რაბები არ მინახავს.

— არ ჰგავს ფუნიკულორს, ჰომ? — ნიშნის მოგებით ჰკითხა ცელქმა თალიკომ.

სანდრომ არა უპასუხა რა.

— ზ...ზ...ზ. — აზუზუნდა ზარი.

— აბა, მუშაობა იწყება. — თქვა ძია ჯაგუმ. — ახლა შინ წადით.

თალიკო და სანდრო ბალიდან გამოვიდნენ. თალიკო ნელი ხმით მილიღინებდა, სანდრო კი ჩაფიქრებული იყო, სულ უცნაური ხეები ელანდებოდა და ხანდახან ჩაილაპარაკებდა:

— საუცხოვო ბალია... საუცხოვო...

### როდღონ ჟორჟია



(დასასრული\*)

ერთ დღით სულიკოს ძლიერ ადრე გაეღვიძა. რაღაც მოუსვენრობას გრძნობდა. გული სტკიოდა ახალგაზრდას და მიზეზი კი არ იცოდა. ადგა, ხელად პირი დაიბანა, მაგიდას მიუჯდა და გადაშალა დიდი ფორმატის წიგნი, რომელსაც ზედ „მეხანიკა“ ეწერა; და როცა ლოკომობილებს დახედა, თითქოს უჩხვლიტა რამემო, უცებ წიგნი ისევ დახურა, ლურსმანზე დაკიდებული ქუდი ჩამოიღო და გარეთ გავიდა.

ჯერ ძლიერ ადრე იყო. ბორჯომის წყლის პარკთან გატყევილ გზას ზანტად უფხაკურებდა მე-ეზოვე ახალ ცოცხს და თან ხველებით ბუარდებოდა. ბაღის კარი ღია იყო და დილაადრიან მინერალური

წყლით მოვაჯრე პატარა ბიჭები დიდი ღოჭებით და ბოთლებით წყლის გატანას ეშურებოდნენ, რადგან რვის ნახევრიდან ბაღში შესვლა უფასოდ აღარ შეიძლებოდა.

მატარებელი ის იყო მოსულიყო და ფარდულთან გაჩერებული დინჯად შიშინებდა. ქარხნის ეზოში ჯერჯერობით სიწყნარე იყო. სიღრმეში მარტო ერთი საბარგო მატარებელი მოჩანდა, რომელზედაც რაღაც მძიმე მანქანა დაედოთ და უნდა წაეღოთ ჩარხის წყალზე, სადაც ბორჯომის წყლის უზარმაზარი ახალი ქარხანა შენდებოდა. მოთმინება დაკარგული შოფერი კისერმობრეცილი იყურებოდა სახე-

\*) დასაწ. იხ. ჟურ. „ბიონი“. № 1-2

ლოსნოსკენ და ჩახლეწილი ხმით აბღავლებდა სი-  
რენას..

სულიკოს ეზოდანვე მოესმა ლოკომობილის რა-  
ღაც სხვანაირი ხმაური და ნაბიჯს უმატა.

მთელი ღამის უძილო მემანქანე და ცეცხლფარე-  
ში ორპირ ქარზე ისდენ და ნაინც ოფლს იწურავ-  
დენ.

— შენ აგიშენდა ოჯახი, სულიკო, მალამო ხარ  
ადამიანისა, მალამო! ფეხზე ძლივს ვდგევარ, ანე  
ცუდად ვგრძობ თავს, და ვაჭირვებს ტალკვესად  
ასე აღრე მომეგლინე კიდეც! — ღიმილით შეხვდა  
სახეგაფითრებული მემანქანე და ორთქლის ქვაბის  
რაღაც ხრახნილი მოატრიალა. ქვაბმა გუგუნა უმა-  
ტა, და სულიკოს ყურმა რაღაც სხვანაირი გუგუნე  
გააჩნია. სულიკო ქვაბისკენ მოტრიალდა და ჭერა-  
მდის აზიდულ უშველებელ ქვაბს თვალი ააყოლ-  
ჩამოაყოლა.

ცეცხლფარეშმა ლოკომობილის კარი გააღო, წით-  
ლად გავრვარებული კოკსი გრძელი საჩხრეკით  
აურია, საჭაეროზე მიწებებული კი ძალით აფხიკა  
და დაუწვავი დაუმატა ყუთიდან ნიჩბით.

სულიკომ მონომეტრს შეხედა და თავზარი დაე-  
ეცა.

მონომეტრი წითელ ხაზს გადასცდენოდა და ზე-  
ვით წასულიყო. სანამ სულიკო ადგალიდან დაიძ-  
როდა, ქვაბმა უცებ ბორბტი ხმით დაიგუგუნა. ეს კი  
იმის მომასწავებელი იყო, რომ ძლიერი დუდილის გა-  
მო შეტოკებული ქვაბის სახურავი ოღნავ გაბრუნდე-  
ბულიყო და აღარ ირწებოდა. სულიკო უმალ მიხვდა  
რაშიც იყო საქმე და კიბისაკენ გაქანდა. ამ ღმუილზე  
ორიოდე მუშა ეზოდან შემოვარდა და ისევ გაიქცნენ.  
შეიქნა ჩოჩქალი. ღამის მორიგე მესაქანეს თვალთ  
დაუბნელდა, ცეცხლფარეშიც თავზარდაცემული  
გაქვავდა ერთი ადგილზე, შიშით სავსე თვალები  
ზემოთ მიაპყრო, საითაც სულიკო გაქანდა და მთლად  
დაიბნა. ქვაბის ბლუილი ჩამომსხმელ ცეხშიაც  
შეიჭრა, და ყველას ტანზე შაშის ეკლები აესხა.

— ვაიმე, მგონი, ვიღუპებით, რაღა გეშველებათ,  
ჩემო ობლებო!!

თმებში ხელი იტაცა გულგახეთქილმა ქვრივმა  
თებრონემ და თან კონვეიერზე დაწოლილ ბოთლს  
ხელი სტაცა და ფეხზე მაინც დააყენა. გარეთ, ეზო-  
ში, ცხვირზე ტოპრაკწამოცმული ჯაგვია ცხენიც  
ალაყაფის კართან საშინლად ატოკდა და მიწას ფე-  
ხით ფხოქნა დაუწყო, თან გადიდებული თვალებით  
და ყურების ცქვეტით ქარხნისკენ მოუთმენლად  
ცქერა დაიწყო.

სახელოსნოს მუშები გამოცვივდენ. ალექსამ თვა-  
ლები ჩახუჭა, კბილები გაკრიჭა და შიშით მოი-  
ხარა.

ყველას სუნთქვა დაუმძიმდა, გულები თითქოს  
გაუჩერდათ, რადგან ყველამ იცოდა, რომ ქვაბის  
აფეთქება ნახევარ ქარხანას გაანადგურებდა და,  
ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი შეიწირებოდა.

ძნელია სიკვდილის მოლოდინი, როცა უღიანობას  
გრძნობ და ხელის განძრევაც კი არ შეგიძლია.

ახალგაზრდული იმედები, მომავალი ინჟინრობა მი-  
სი ნათელი პერსპექტივა სულიკოს ერთწუთს თვალ-  
წინ დაეხატა და ისევ მალე გაუქრა.

მსხვერპლი, მხოლოდ მსხვერპლი ბუ იხსნის ქარ-  
ხანას, თორემ ყველაფერი დაიღუპება, — დაუწვი-  
ლა ვიღაცამ ყურებში სულიკოს და ის წუთი იყო,  
რომ კიდეც ქვაბთან გაჩნდა.

სულიკომ ანძაზე ჩამოკიდებულ კაუჭიან რკინის  
ჯოხს დასტაცა ხელი და სარქველს ყურში კაუჭი  
რომ მისცა, თავი და სახე პირუტყულმა მოატრიალა  
და სარქველი შეტრიალებით ასწია... ქვაბმა საშინ-  
ლად დაიქუხა, დაბნედილის უკანასკნელ ამოხგრა-  
სავით ამოიქშინა, და ღმუილიც შეწყდა. ღრუბელი-  
ვით შედუღებული ორთქლი ქვაბიდან რომ შოშო-  
ნით გამოვარდა, ბარომეტრის წითელმა ხაზმა უცებ  
ძირს დაიწია, და კატასტროფაც აცილებულ იქნა.  
რკინის კაუჭმა კიბეებზე ზარივით დაიჭკრიალა. გულ-  
ჩამოსავარდნად გადაიზნიქა, განჭირვით ავარდნილ-  
ამ ორმა მუშამ ქვემოდან ხელი შეაშველა და გულწა-  
სული სულიკო მკერდზე მიიყრდნო. ვიწრო რკი-  
ნის კიბეზე სხვა მუშებაც შეეშველნენ და ორთ-  
ქლისაგან ნახევარგვერდდაფუფქული ბიჭი მძიმედ  
ძირს ჩამოიტანეს.

საკაცე და ექიმიც ხელად იქ გაჩნდნენ. თვალებ-  
დახუჭული სულიკო ეზოში გამოატარეს და საავად-  
მყოფოსკენ გაემართნენ.

— კიდეც კარგი, რომ თვალები და სახე არ დას-  
წყია, — წამოიძახა ვიღაცამ.

— ნეტა რას ამბობ, ოღონდ გადარჩეს და სახეს  
ვინ ჩივის? — გაჯავრებით გამოეპასუხა მეორე.

— ვაი, აფსუს, ბიჭო, აფსუს, მთელი ქარხნის სი-  
ამაყვე და საყვარელო!

გარეთ ყველა ასე აწუწუნდა.


სიმონაც იქვე უცდიდა. როცა მას თვალებჩახუ-  
ჭული სულიკო დაინახა, კრინტი, ხმა არ დაუძრავს.  
მხოლოდ ხელი უკულმა წამოიღო, თვალებზე მიი-  
ფარა და იქვე ყუთზე უხმოდ ჩამოჯდა.

სასადილოს ფანჯრიდან მზარეულის თანაშემწე  
ქალმა გადმოიხედა და წუთის შემდეგ ღია ფანჯრი-  
დან შეკავებული ტირილი გაიჰმა.



სულიკოს საავადმყოფოში ტანსაცმელი ფრთხი-  
ლად შემოატრეს და ექიმმა რომ დახედა, ქარხნას  
გამგეს თითქოს იმედიანი თვალთ შეხედა და ხმა კი  
არ ამოუღია.

სულიკოს მთელი მკლავი დაფუფქული ჰქონდა,  
ილიიდან დაწყებული ბარძაყამდის საშინლად დას-  
წოდა და აბურცულ კანში ყვითელი წყალი ჩას-  
დგომოდა. მაჯისცემა დაკარგული ჰქონდა. ქაფუ-  
რის შემსაპუნების შემდეგ გულმა ნელ-ნელა იწყო



ჭეშაობა და თავზარდაცემული მის ამხანაგებს იმედის ისევ დაუბრუნდათ. ქარხანაში წესიერება მალე დამყარდა. ბებერი სიმონაც ისევ ბოთლების ნამტვრევებს მისჯდომოდა და გრძელ წვერებზე, როგორც ვაზის დაკლაკნილ რტოებზე დილის ცვარი, ცრემლები დაბლუპით ჩამოსდოდა.

— ვაიმე, შვილო, სულიკო, ვაიმე, ქარხნის თვალო და საყვარელო! მე დამწვარიყავ ის მერჩინა შენისთანა ახალგაზრდის გაფუჭებას... ვაიმე, ბიჭო, ვაიმე!!

სულიკო კი მართლა ძლიერ მძიმედ შეიქნა ავად. შუადღემდის ორმოცი გრადუსი სიცხე მისცა. ცოტახნით მოსულიერებული ბიჭი ისევ უღონოდ შეიქმნა.

ექიმები თავს დასტრიალებდნენ. მთავარი ინჟინრის და ქარხნის გაჩეხის გულსყური სულიკოსკენ იყო მიპყრობილი. გულდაკოდილი მუშები გაფითრებულნი დგანან მანქანებთან და თავებს ნელა არხევენ.

— ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, — ვილაყამ ხმა დაარხია და ყველა ისევ საგონებელში ჩააგდო. ლაპარაკიც კი უმძიმდათ.

ქვემოთ კოოპერატივის დაზვისწინ პატარა ბიჭმა გადახარხარა. დაღონებულმა ნოქარმა გრძელი სტაფილო ღონივრად უთავაზა თავში და ხმა ჩააკმენდინა. იქ, ხიდგაღმა, საავადმყოფოში კი სულიკოს თვალები ჩაუხუჭავს, რალსაც ბოდავს...

— ნაუ, ნაუ, ირეკება მის ყურში ზარის ხმა... ამ ხმას ზედ გუგუნი დაერთო, რალაც ღმუის, და წუხს, საშინლად წუხს სულიკო... გული ეხუთება... ზარის რეკამაც უმატა, და ამ ხმამ კიდევ გამოარკვია სულიკო. ახლა კი მოაგონდა, რომ ეს კონვეიერის ხმა იყო. ავერ ჩამოსასხმელ მანქანასაც ხედავს... უტყერის სულიკო მანქანას და ძლიერ უკვირს: მანქანას დოლი უჭირავს, უშველებელი ჯოხებით უკრავს და ბოთლებს აცეკვებს. ოო, რა ლამაზად უვლიან ლეკურს ტანწერწეტა ბოთლები, რა ბევრნი არიან, რა ბევრნი! სულიკომ ყველას გადახედა. როდესაც ბოთლებმა მას თვალი შეასწრეს, უცებ ყველანი კონვეიერის ღიანდაგზე წეროებივით გასწორდნენ, და ეს დაუარსებელი ლენტი ბოთლებისა სულიკოსაკენ გამოცურდა.

მოდინა, მოცურავენ, ყველა იმასთან მოისწრაფის. ავერ შუაში მდგომ ერთ ბოთლის თავზე ცეც-

ხლი უკიდია და სულიკოსთან მიახლოებისას დიდდება და დიდდება... სულიკო ხედავს, რომ ბოთლში წყალი კოჭზე დულს, ქაფი ბოთლს ყელს ტალღებდაწვევა, და სულიკოს ეშინია... უნდა წამოიწიოს, მაგრამ დუღილი უცებ გაჩერდება, ქაფი თოვლის ფიფქებივით ნაპირებისკენ ისვეტება და როგორც ცუდი ამინდის შემდეგ დილის მზემ ტკბილად ამოანათოს, მისი დედის სახემ ბოთლიდან ტკბილად გაუცინა და ლამაზი ტუჩები ოდნავ აამოძრავა.

— შვილო, სულიკო! შენ გენაცვალოს დედაშენი... ორი დღე გული მწარედ შემომეკენესოდა. აბა დახედე...

დედამ ხელი გამოუწოდა, და გაკვირებული სულიკო ხედავს, რომ ეკლებით სავსე დედის გული მის საკუთარ ხელზე ისე საყვარლად ფეთქავს, რომ სულიკომ ვერ მოითმინა, უნდა რომ მივარდეს, დედის გულს ტკბილად უამზოს, მაგრამ ვერ იძვრის, ვილაყა თითქოს მარწუხებით იჭერს, სულიკო მწარე ტკივილს გრძნობს.

— ნუ გეშინია, თავს შემოგველე, მალე მორჩები... მალე მორჩები. უფრო ტკბილად უღიმის დედა და ხელს უფრო მაღლა წევს.

ამ დროს ქვაბმა დაიშიშინა, დედას გულის ეკლები მთლად ჩამორეცხა და როგორც ნაზი ქსოვილის ფარდა, მოღიმარ დედას სახეს ისე ჩამოეფარა. მაგრამ სულიკო ქსოვილის იქით ტკბილ ღიმილს მაინც ჰვრეტს და მსუბუქდება, ძარწუხებიც ჩამოეხსნა, აღარაფერი არ სტკივა, დედის ღიმილმა მთლად განკურნა.

— დედა, ჩემო დედა! — წამოიძახა სულიკომ და თვალები ღიმილითვე გაახილა. გაღიმებულ ავადმყოფს ერთი ცრემლი წუთით თვალზე დაეკიდა, შემდეგ ლოყაზე ჩამოუგორდა და ქვემოთ ყელს ძარღვზე ცხლად დაეცა.

ამ დროს დაფიქრებულ ექიმს სულიკოს სალი მაჯა ეჭირა და საათს დაჰყურებდა. ფიზიოლოგიურ ხსნარს\*) თავისი საქმე გაეკეთებია, და როცა სულიკოს გულმა მძლავრად შემოკრა, სულიკომ თვალები გაახილა და ექიმის თვალებს მისი თვალები რომ შეხვდა, ორივემ განკურნების იმედი და სიხარული ერთად იგრძნო.

**ცავიტი**



\*) ფიზიოლოგიურ ხსნარს მძიმე ავადმყოფს კანქვეშ ნემსებით უშვებენ, რომ გულმა ჩეშაობა დაიწყოს.

# წითელარეილის ლექსი



ქართული  
წიგლიწიგლი

ვიდრე მტერი მგელ-ქორულად  
დაგვტრიალებს თავს,  
მზად ვარ და სავგუსავს  
არ ვაშორებ თვალს!

ვიდრე მტერი ემუქრება,  
ჩვენ ბარსა და მთას,  
ვეძმობი და ვუერთგულებ  
ამ ჩემ გორდა ხმაღს!

ვიდრე მტერი უცხოელ ძმებს  
სწოვს სისხლსა და ოფლს,

ვეძმობი და ვუერთგულებ  
ჩემ შაშხანა თოფს!

ვიდრე გველებს არ დავუნგრევთ  
სამუდამოდ ხვრელს,  
საჭიროა მიმშვენებდეს  
სავაზენი მხრებს!

ვიდრე მტერი ძლიერია,  
გუგუნებს და ჭრებს,  
ხმალივითვე ეჭირვება  
ლეჭი მხედრის გულს!

ალ. გილანიშვილი

## ღ ა თ ვ ი

ბევრი ვირბინეთ ბიჭებმა, — ჭალაში გადავედით.  
ლიახვში ვიბანეთ, ორღობეში კაკალი დავაყრევი-  
ნეთ და — სადილობა მოახლოვდაო, — შინაქვენ  
გავწიეთ.

სალაყბოზე, ნიკოლოზიანთ კარზე ქვებზე ისხ-  
დენ უფროსები, გარს ყმაწვილები შემოჰხვეოდნენ  
და რალაცას ბჭობდენ. მთელი გვარეულობა, —

ქალი, კაცი, დიდი, პატარა, — სულ იქ იყვენ  
ყველანი.

მივედით. აღარც სიცილი, აღარც ოხუნჯობა და  
ლაზღანდარობა, აღარც შაირები და ზმნა-გამოცა-  
ნები. სადღა იყო ჩვეულებრივი სიმხიარულე საღაყ-  
ბოსი? დაღვრემილები იყვენ ყველანი და ყველა-  
ზე მეტედ ძია ვიგო.





თავები ჩამოსტიროდა ძია გიგოს. კელარ იცნობდით ჩვენ მხიარულ, მოშაირე და მოლექსე იას. ახლა იმისი სიმღერა! მღეროდა მარტო მაშინ, როდესაც კარგად გადაჰკრავდა ხოლმე, და გადაკერა კი ძალიან უყვარდა. იმისთანა ტკბილი „შაში კაკაბი“ და „კურდღელი ჩამოცანცალდა“, ან კიდევ „მაყრული“ აღარსად გამიგონია მის შემდეგ. თავები ჩამოსტიროდა ძია გიგოს.

— რა იყო, რა მოხდა? — ვკითხვით მოწიწებით.

— დავიღუპენით და ის იყო! ჩემს მტერს, რაც ჩვენ დღეს უბედურება გვეწია! — მოსთქვამდა ძია გიგო, — სულ ამაოდ ჩაგვივლის ამოდენა ჭირნახული (ხელი არ გაუნძრევია თავის დღეში! ქეიფისა და დროსტარების მეტს არას აკეთებდა). სიმშობლივით ამოგვიწყდებოდა ცოლშვილი! გული გაგვისკდა ბიჭებს.



მე მაშინვე პაპიქემის ავთანდილის ნაამბობი მომაგონდა, თვალწინ მიდგა შიშინაობა, ლეკების შემოსევა...

გალავანს გადავაგლე თვალი, — ერთი კედელი უკვე ინგრევოდა. ამის იმედიც აღარ იყო!

— რა? ლეკები შემოგვესივნენ?

— დათვი შემოსჩვევია ზვარს და სულ გაუთეღია იქაურობა!

რვა-ცხრა წლის ბიჭები ვიყავით, ანბანიც არ იცოდა ზოგმა.

— მერე?

— მერე ისა, რამ აღარ ჩახვიდეთ ზვარში! ეტყობა, ძალიან დიდია ის ამოსავარდნელი, ისა, რომ მთლად გაუთელია სიმიანი.

— ვინა ნახა ი დათვი?

— ნახვა რა საჭიროა, რა ვქნა? ნასკორევი იქ არ არის? კამეჩი ვერ იზამს იმოდენას! მერე, როგორი კბენა იცის! თუ ხელთ იგდო სადმე პატარა ბიჭი, თათს მოჰხვევს, ტყეში შეათრევს და თავის ბელს შეაქმევს. ჰოდა, არ გაგიწყრეთ ღმერთი და ზვარ-

ში აღარ ჩახვიდეთ! გეყურებთ? აღარ გაიჭაქანოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი!

უცბად გავრცელდა ეს საშინელი ამბავი და, შინ რომ მივედი, ბებიჩემმაც, — მოხუცებული ადამიანი იყო, და ტახტიდან აღარ ჩამოდიოდა, — იგივე გაფრთხილება დაგვანხვედრა, დაშინება და ბრძანება. — ზვარში აღარ ჩახვიდეთო.

ზვარში აღარ ჩავდიოდით, სანახიროზე ვთამაშობდით, ზვარის თავში. ზვარს გადავცქეროდით, ნაგრაქ ლობესთანაც კი ვალარ მივდიოდით, — დათვი იყო იქ და გვეშინოდა.

და ერთხელ, რომ ვერა და ვერა დავეწივენით ფანთიას ბიჭს და გაბრაზებულმა შევძახეთ:

— წინასა-წინწიბურასა გველი დაერჭოს ყირასა! —

წინ ცერცეტა აგვეტუზა, ორლობესკენ მიმავალი.

ცერცეტა მოზრდილი ბიჭი იყო. ჩვენთან აღარც კი თამაშობდა.

— ბუდეშური გინდათ, ბიჭებო?

— გვინდა და აგრე! მერე სად არის?



— სად არის და ზვარში.

— ზვარშიო? — ფერი გვეცვალა ყველას. — მერე დათვი?

— ოჰ, რა სულელები ხართ, თქვე ყვეყნებო. თქვენ! რის დათვი? რა დათვი? დათვით უაზრებო. ზენ, რომ ზვარში არ ჩახვიდეთ და ყურძენი არ სჭამოთ. დათვი არის ზვარშიო, და თქვენც დაიჯერეთ, რაღა? ფუჰ, შეგარცხინათ! პატარა ბავშვები ხომ აღარ ხართ, რომ — „ბუა მოდისო“ — გითხრან და ძაგძაგი დაიწყეთ? წამოდით.

წამოდითო? კარი ვიღას ახსოვდა, ლობეზე გადაფრინდით!

ხვალ-ხვგ გერისთავობა თენდებოდა და კარგად შეთვალეზულიყო ბუდეშური. რის დათვი? რა დათვი? არც სადმე ვენახში ყოვლადძლიერი დათვი იყო და არც დათვის მშობელი.

ის იყო და ის, — ბუდეშურს შავკაპიტო მივაყოლეთ, შავკაპიტოს თითა.

„დათვისტები“ გავნდით ბიჭები. მაგრამ გიჟები ვიქნებოდით, გამოგვემელანებია ჩვენი ადათვა-ტობა! — დათვისა გვეშინიაო, ვიძახდით, დათვია ჩვენს ზვარშიო და... ყურძნით ვტკებებოდით.

სულ ამ ყურძნის ბრალი იყო, რომ ჯერ პატარა ბიჭები ტყუილს გავიძახოდით და ვატყუებდით უფროსებს.

ივ. მაჭავარიანი

## ორი ღვთისმშობელი

უზარმაზარი ქალაქის განაპირას, მდინარის ზევით, თეთრად ქოქათებდა დიდი სახლი. ქვევით, მდინარის ნაპირას, შავად ბოლავდა ქარხანა. თეთრი სახლის მესამე სართულში, მზიან უზარმაზარ ოთახში ცხოვრობდა ქარხნის პატრონი თავისი ცოლშვილით. ნახევრად ბნელ სარდაფში ცხოვრობდა იმავე ფაბრიკის ფეიქარი, რომლის ცოლიც ფეიქარი იყო.

ფაბრიკანტის ცოლის ქალიშვილი შეეძინა. ფეიქარის ცოლსაც გოგონა ეყოლა.

შესანიშნავ საწოლ ოთახში ეკიდა ოქროთი მოვარაყებულ ღვთისმშობლის ხატი. ფაბრიკანტის ცოლი ღვთისმორწმუნე იყო. მაგრამ მან იცოდა, რომ ღვთისმშობელი კარგად იყო დახატული დაფაზე და რომ მისგან ვერაფერ ხეირს ნახავდა ადამიანი, თუ ფული არ ექნებოდა. ფეიქარის ცოლს ობობას აბლაბუდით სავსე კუთხეში ეკიდა დაფა, რომელზედაც მოჩანდა ჩამავებული სახე და თვალეზი. ფეიქარის ცოლი ღრმა რწმენით ლოკულობდა, იმას ეგონა — თვითონ ცოცხალი ღვთისმშობელი მიცქერისო.

ფაბრიკანტის ცოლმა ბავშვს მიუჩინა გამღელვებელი ძიძები, შინამოსამსახურეები, ბავშვს ძუძუს აწოვებდა ახალგაზრდა ქალი; მას სევდით აღსავსეს სოფლად მიეტრევებია, სილატაკის გამო, თავისი ბავშვი, რომელსაც ჭვავის პურიც სავსე მთავრე საწუწნავზე უნდა ედელია სული. ფეიქარის ბავშვი მთელი დღე გულამოკვებით ტიროდა მშიერი, სველ, მყრალ ჩერებში გაკრული, და ყურისმგდებელი არავინ ჰყავდა — დედაც და მამაც მთელი დღე ფაბრიკაში მუშაობდნენ მოგრილედ დაზვასთან, და არცერთი წუთით არ უნელდებოდათ პატარა შვილის დატოვებით გამოწვეული სევდა.

ფაბრიკანტის ცოლის ბავშვი ვარდივით ყვავდა, და მისჩერებოდა მას ოქროთი მოვარაყებულ დაფაზე დახატული თვალეზი. ფეიქარის ცოლის ბავშვი ყვითელი იყო, დედაბრის სახე ჰქონდა და მობრეცილი ფეხები, გაყვითლებულ ბალახს ჰგავდა სარდაფის წყვიადში. და მისჩერებოდა მას დაუსკდარი დაფაზე დახატული ჩამავებული სახე.

ავად გახდა ფაბრიკანტის ცოლის ქალიშვილი, ყოველ კუთხიდან დაესიენ ცნობილი ექიმები, პრო-

ფესორები, რომელსაც ათასობით აძლევდნენ, და მო-  
აჩინეს გოგონა. ის კვლავ ჩიტიკით ჟღერტულდება.  
ვარდისფერი და კისკასა. და მისჩერებოდა მას ოქ-  
როთი მოვარაყებულო დაფა.

ავად გაჭდა ფეიქრის ცოლის გოგონა, დააწყებია  
ხელ-ფეხის კრუნჩხვა, ჩაუშავდა პატარა სახე, მო-  
ექცა ჩაღურჯებულ პირი, ფიცრებზე ახლიდა თავს  
კაწამებულ დედა, თმებს იგლეჯდა, მუხლებზე  
ვარდებოდა და მხურვალედ ლოცულობდა, გაძვალ-  
ტყავებული ხელებით მწარედ ისრესდა გულმკერდს  
და გაშმაგებული მისჩერებოდა ჩაშვეებულ დაფას  
ტანჯვით, ცრემლებით, იმედით და სასოწარკვეთი-  
ლებით სახე თვალებით. „წმინდაო დედაო, ყოვლად  
წმინდა მფარველო! იხსენი ჩემი გოგონა... მომირჩინე  
გოგონა... ბარემ მორჩეს ჩემი გოგონა... ფეხზე წა-  
მოაყენე ის... რისთვის იტანჯება ის ასე? ყოვლად  
წმინდაო დედაო“...

საყვირი გუგუნებს, ფეიქრის ცოლი ცრემლებს  
ყლაპავს, თავს ანებებს ავადმყოფ გოგონას, ვარბის,  
რომ იმუშაოს ფაბრიკანტის ოჯახისთვის. ფეიქარიც  
მიდის სამუშაოდ, თვალეში კი სევდა აქვს.

მოკვდა პატარა გოგონა და ისე იწვა, როგორც  
ყვითელი დახვეული ფოთოლი. კუთხეში კი შავი

დაფა ეკიდა. მღვდელმა 'ასწრაფოდ დამარხა, ცდი-  
ლობდა, მალე განთავისუფლებულიყო და სხვადასხუ-  
პით ამბობდა:

— ღვთის განგება მიუწვდომელია... სამაგიეროდ  
ის იქ კარგად იქნება... იმ ქვეყნად.

— ამ ქვეყნად ერთი საათი ქე მაინც, ერთი საათი  
ქე მაინც რიგიანად ეცხოვრა, — სლუკუნით ამბობ-  
და დედა.

მღვდელმა შეუყვირა:

— ღმერთი არ ვარისხო! ღმერთი ყველას აძლევს  
ჯიჯარს, და ყველამ უნდა ზიდოს ის. თორემ გავარ-  
ვარებულ ღუმელში მოგელის წვა.

იზრდებოდა და იფურჩქნებოდა ფაბრიკანტის  
ცოლის ქალიშვილი, ფეიქრის ცოლის გოგონა კი  
სამარეში იხრწნებოდა. და არასოდეს არ დაუამდა  
სევდა გაწამებულ ქალს.

წინანდებურად ეკიდა ორი ღვთისმშობელი. ერთი  
ზევით — ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში, კარგად  
დახატული დაფაზე, მეორე კი ნახევარდბნელ სარ-  
დაფში, ჩაშვეებულ დაფაზე დამსკდარი.

## ა. სმრაფიომოვიჩი

# გაფიცვა პარმაში\*

გენუაში\*), სადგურის წინ მდებარე პატარა მოე-  
დანზე, შეგროვილა ხალხი — უმთავრესად ქუშები,  
მაგრამ კარგად ჩაცმული, ჩაუქებული პირებიც  
ბევრია. ბრბოს თავში დგანა მუნიციპალიტეტის\*\*)  
წევრები, მათ თავებთან ფრიალებს ქალაქის დრო-  
შა, აბრეშუმით ნაქსოვი, მის გვერდით კი ირხევა  
მუშათა ორგანიზაციების ფერადი დროშები. ბზი-  
ნავს ოქრო დროშების ფოჩებსა და ზონრებზე, ბზი-  
ნავს შუბები ტარებზე, შრიალებს აბრეშუმის, და  
გუგუნებს, როგორც დაბალი ხმით მომღერალი  
გუნდი, საზეიმოდ განწყობილი ხალხი.

შეხვეტილი ნახევარწრედ დგას სადგურის მარმა-  
ლილოს მძიმე შენობა. ისე გაუშლია თავისი ფრთე-  
ბი, თითქოს ხალხს უნდა მოეხვიოსო. ნავსადგური-  
დან მოისმის გემების მძიმე სუნთქვა, ხრახნის დახშუ-  
ლი მუშაობა წყალში, ჯაჭვების ჟღარაჟღერი, საყ-  
ვირის ხმა და ყვირილი, მოედანზე კი სიწყნარეა.  
ცხელა, ყველაფერი მზის მწველ სხივებშია გახვე-  
ული. აივნებსა და სახლების ფანჯრებში დგანან  
ქალები, ყვავილებით ხელში, და სადღესასწაულოდ  
მორთული ბავშვები, რომლებიც ყვავილებს ჰგვა-  
ნან.

სტკენით მოირბინა ორთქლმავალმა სადგურთან,  
და ხალხი შეტორტმანდა; შავი ფრინველებით აფ-  
რიოდა თავებს ზევით რამდენიმე დაჭმუჭნული  
ქუდი, მემუსიკენი იღებდნენ ინსტრუმენტებს. ვილაც  
სერიოზული ხანში შესული პირები ისწორიენ ტა-  
ნისამოსს, წინ გამოდიან, ხალხისკენ მობრუნდებიან  
და რაღაცას ლაპარაკობენ, თან ხელებს იქნევენ  
მარჯვნივ და მარცხნივ.

მძიმედ და აუჩქარებლად მიიწ-მოიწია ხალხმა და  
ქუჩაში ფართო გასასვლელი დატოვა.

— ვის ხვდებიან?

— პარმელ ბავშვებს!

იქ, პარმაში, გაფიცვაა. მეპატრონენი არ უთმო-  
ბენ; მუშებს გაუჭირდათ, მოუყარეს თავი თავის  
ბავშვებს, რომლებმაც უკვე დაიწყეს ავადმყოფობა  
შიმშილობისაგან, და ამხანაგებთან გამოგზავნეს გე-  
ნუაში.

სადგურის კოლონებიდან მოდის პატარა ადამი-  
ანების მწყობრი პროცესია; ისინი ნახევრად შიშველ-  
ნი არიან და აბურძგნული ჩანან თავის ძონძებში,  
აბურძგნულნი, თითქოს რაღაც საოცარი პატარა  
მხეცებიანო. ხელიხელჩაკიდებულნი მოდიან, ხუთ-ხუთ  
ნი — ძალიან პატარები, დამტვერილნი, როგორც

\*) პარმა და გენუა იტალიის ქალაქებია.

\*\*) მუნიციპალიტეტი — ქალაქის თვითმართველობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

გეგობა, დაქანცულნი. მათი სახეები სერიოზულია, მაგრამ უბრწყინავს ცოცხალი და ნათელი თვალები, და როდესაც მუსიკა ვარიბალდის\*) ჰიმნით ხვდება მათ, ხალისიანი ციმციმით გაიბრუნეს სიამოვნების ღიმი. დამაყრუებელი ყვირილით ესალმება ბრბო მომავლის ადამიანებს, მათ წინაშე ირხევა დროშები, გაკვივის ინსტრუმენტების სპილენძი, აყრუებს და თვალს ჭრის ბავშვებს, რომელნიც, ცოტა არ იყოს, თავბრუდასხმულნი არიან ამ შეხვედრით, ერთი წუთით უკანაც კი იხევენ, მერე კი უცებ სწორდებიან იზრდებიან, ერთ სხეულად იკუმშებიან და ასეული ხმებით, მაგრამ ერთი გულიდან გაიძახიან:

— გაუმარჯოს იტალიას!

— გაუმარჯოს აბო ლგაზრდა პარმას! — გრიალებს ბრბო და მიესევა მათ.

— გაუმარჯოს ვარიბალდის. — ყვირიან ბავშვები, ლეგა\*\*) ზოლივით იჭრებიან ბრბოში და იმალებიან მასში.

სასტუმროების ტახტებში, სახლის სარკრავზე თეთრ ფრინველებივით ფარფატებენ ცხვირსახოცები, იქიდან ცვივა ბავშვების თავზე უამრავი ყვავილი და მხიარული ხმამაღალი ხმები.

ყველაფერმა საზეიმო სახე მიიღო, ყველაფერი გაცოცხლდა, და ლეგა მარმალისო აჭრელდა რაღაც ბრდლიალ ლაქებით.

ირხევა დროშები, ფრიალებს ქულები და ყვავილები, დიდი ადამიანების თავებს ზევით გაზრდილა ბავშვების პატარა თავები, აქა-იქ გაიღვებენ პაწაწა შავი თათები, იჭირენ ყვავილებს და ესალმებიან, და ჰაერში სულ გუგუნებს განუწყვეტელი მძლავრი ყიჟინა:

— გაუმარჯოს სოციალიზმს!

— გაუმარჯოს იტალიას!

თითქმის ყველა ბავშვი დაიტაცეს; ისინი სხედან დიდების მხრებზე, მიხუტებული არიან ვიღაც მკაცრი, უღვაშიანი კაცების ფართო მკლავებზე, ძლივს გაისმის მუსიკა ხმაურში, სიცილსა და ყვირილში.

ბრბოში დამგრებან ქალები, იყვანენ დარჩენილ მოსულებს და უძახიან ერთმანეთს:

— ანიტა თქვენ ორი მოგყავთ?

— დიან. თქვენც?

— და ერთიც უფებო მარგალიტასთვის...

ყველგან მხიარული ალტკინებაა, გახარებული სახეები, აცრემლებული კეთილი თვალები, და ზოგან უკვე ლეჭვენ პურს გაფიცულთა ბავშვები.

— ჩვენ დროს ამაზე არ ფიქრობენ — ამბობს მოხუცი, რომელსაც ფრინველს მიუგავს ცხვირი და პირში კი შავი სიგარა აქვს.

— ასე უბრალო რამე კი არის...

— დიან! ეს უბრალო და ჭკვიანურაა.

მოხუცმა გამოიღო პირიდან სიგარა, დახედა მის ბოლოს, ამოიოხრა და ფერფლი გააყრევინა. შემდეგ კი, როდესაც თავის ახლო დაინახა ორი პარმელი ბავშვი, როგორც ეტყობოდა, ძმები, სასტიკო გამოძეტველება მიიღო, აიფაფრა, — ისინი სერიოზულად შესცქეროდნენ მას, — ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და ხელეზა ვაშალა; ბავშვები ერთმანეთს მიეკრენ და მოიღუწენ; მოხუცმა უკან დაიხია, ჩაჯდა და ხმამაღლა, ძალიან მომგვანებით დაიყვილა მამალივით. ბავშვებმა გადაიხარხარეს და ქვებზე ატყაპუნებენ შიშვილ ქუსლებს, მოხუცი კი ადგა, გაისწორა ქუდი და, რაკი გადაწყვიტა — ყველაფერი გავაკეთე, რაც საჭირო იყო, ბარბაციით გაშორდა.

მოცეკვავს შაკთმანი გენუელი ქალი და ხელჩაკედებული მოჰყავს შვიდი წლის ადამიანი, რომელსაც ჩის ქოშები აცვია და ნაცრისფერი ქუდი კი ჩამოფატვია; ის იქნევს თავს, რომ უკან გადაიწიოს ქუდი. ქუდი კი სულ სახეზე ეფხატება; ქალმა დასტაცა ქუდს ხელი, მოხადა პატარა თავიდან, მალლა აიქნია და რაღაცას მღერის და იცინის, თავადერილი მისჩერებია მას ბიჭუნა, მთლად ღიმილად გადაქცეული, მერე შეხტება, რომ მისწვდეს ქუდს, და ორივენი იმალებიან.

მალალ კაცს, რომელსაც ტყავის წინსაფარი აქვს და უზარმაზარი ტიტველი ხელები, ექვსი წლის გოგონა ჰყავს მხარზე შესხმული, ისეთი ლეგა, თითქოს თავგიაო, და ეუბნება ქალს, რომელიც მისი გვერდით მიდის და ხელჩაკედებული მიჰყავს ალივით წითური ბიჭუნა:

— გესმის, თუ ეს გავრცელდა... ჩვენი დამღევა ძნელი იქნება, ჰო?

და ბოხად, ხმამაღლა, გამარჯვებულებით ხარხარებს, თავის პატარა ტერის ლურჯ ჰაერში აისროლის და ყვირის:

— გაუმარჯოს პარმას!

მიდიან ადამიანები, თან ზოგს ფეხით მიჰყავს ბავშვები, ზოგს კი ატატებული. მოედანზე რჩება მოთელილი ყვავილები, კონფეტის ქალაღდები, ფაკინოების\*) მხიარული ჯგუფი. ქუჩებიდან კი, როგორც უზარმაზარი მილებიდან, ლამაზად იფრქვევა ახალი ცხოვრებისკენ მიმავალი ადამიანების მხიარული ხმები.

მეხსიერ ზოგაძი

\*) ვარიბალდი — გამანთავისუფლებელი ითბრბობის ბელადი, იტალიაში, იბრბოდა საფრანგეთისა და ავსტრიისაგან იტალიის განთავისუფლებისათვის 1807 — 1882 წლებში.

\*\*) ლეგა — ნაცრისფერი.

# ოქროს თევზი ქეჩყაოი


არაკი ა. პუშკინისა, თავისუფალი თარგმანი ა. ახნაზაროვისა


ლურჯი ზღვის პირად, მიწურ ქობნახში,  
მოხუცი თავის დედაბერთა  
ცხოვრობდა ოცდაცამეტი წელი  
და თავს ირჩენდა თევზის ჭერითა...  
და როს მოხუცი ბადეს ისროდა,  
ცოლი კარებთან წინდასა ქსოვდა.  
ერთხელ მოხუცმა ბადე ისროლა,  
ბადეს გამოჰყვა შლაში, ტალახი;  
ძეორედ სცადა, და ბადემ მხოლოდ  
თან მოიტანა ზღვისა ბალახი.

და როს მესამედ ბადე ისროლა, —  
შლამს ოქროს თევზი მან მოაყოლა.  
შეემუდარა იგი კაცის ხმით:  
„გამიწვი ზღვაში ხელუხლებელი!  
ნაკვლად მოხუცო, ჩერგან მიიღე  
უძვირფასესი რამ სასყიდელი!  
მოგცემ, რასაც-კი შენ მე მიბრძანებ,  
თუ ხელს არ მახლებ და არას მავნებ!“

მოხუცი შეკრთა, დიდად ეოცა:  
მებაღურობდა ოცდაცამეტ წელს  
და არ შეჰყროდა ამ ქვეყნად კაცსა  
იმის გამგონეს და იმის მნახველს,  
რომ თევზს შეეძლო ახმაურება,  
ვით ადამიანს, სიტყვის ხმარება.  
მოხუცმა თევზი ზღვაში გაუშვა,  
პით შეისმინა მისი მუდარა,  
თან მიაღებნა ალერსით სიტყვა:  
„მე სასყიდელი არა მინდა რა,  
წადი და შემწედ გყავდეს უფალი,  
ლურჯ ზღვაში იყავ თავისუფალი“.  
დაბრუნდა სახლში დედაბერთანა  
და ცოლს უამბო ეს სასწაული:  
„დღეს ბადეს მოხვდა პაწია თევზი,  
ჯერ არსად თქმული, არსად ნახული...  
შენ არ გეგონოს უბრალო, სადა,  
ოქროსი იყო, სულ მთლად ბრწყინავდა!


დიდი შაძლია რამ სასყიდელი,  
ოლონდ გამიწვი ისევ ზღვაშიო  
ხელუხლებელი და უგნებელი.  
ვერა ვთხოვე რა თავის დახსნაში,  
ისე ვაგუშვი საბრალო ზღვაში.





დედაბერმა-კი გაკიცხა ქმარი:  
„სულელო, გონი რამ შეგიშალა,  
ვარცლს მაინც სთხოვედი სამაგიეროდ:  
ჩვენი მთლად დასკდა და დაიშალა“...  
აღმა მოხუცი, ზღვისკენ წავიდა...  
ამ დროს ლურჯი ზღვა ოდნავ ცელქობდა...  
მოხუცი ადგა ზღვისა ნაპირას  
და გულმოდგინედ თევზსა უხმობდა.  
აგერა თევზმაც ნაპირს მოცურა,  
და მებაღურმაც მას მიაშურა.  
„რა ვსურს, მოხუცო?“ — ჰკითხა მას თევზმა;  
მან თავყვანი სცა და მოახსენა:  
„შემინდე, თევზო, ცოლმა გამლანძღა  
ახალს ვარცლსა მთხოვეს, არ დამაცალა,  
ჩვენი დასკდაო და დაიშალა“...  
„ნუ დალონდები“ — უთხრა მას თევზმა:  
„და ნუ ხარ გულით აგრე გამწყრალი,  
დაბრუნდი სახლში და იქ დაგვდემა  
შენს დედაბერთან ვარცლი ახალი“.  
შინ რომ დაბრუნდა მოხუცებული,  
იქ დახვდა ვარცლი დაპირებული.  
დედაბერი კი მაინც გაუწყრა:  
„სულელი ხარ და დიდად ჩერჩეტი:  
ვერა სთხოვე რა თევზს, უბედურო,  
ამ სულ უბრალო ხის ვარცლის მეტი?!  
წა, თავყვანი ეც, ასე უთხარი:  
ქოხი არ გვაქვს-თქვა თავშესაფარი“.  
აგერა წავიდა ლურჯი ზღვისაკენ...  
და ზღვა დაუხვდა მას ამღვრეული...  
რხმო თევზი, და თევზმაც მოცურა,  
ჰკითხა: „რადა ხარ გამწარებული?“  
მან თავყვანი სცა და უპასუხა:  
„წყალობა მიყავ, მომეცი შეველა,  
მე დედაბერმა უფრო გამლანძღა,  
არ მომასვენა, აღარ მეშვება!  
ანჩხლს დიაცს გული არ მოუბრუნდა,  
ახლა სხვასა მთხოვეს, ქოხი მოუნდა“.  
თევზმა თქვა: „გული ნუ გიბრუნდება,  
დაბრუნდი სახლში, ქოხი გექნება“.  
წამოემართა მიწურისაკენ...  
სადღა, კვალიც კი დაკარგულა  
და იმის ნაცვლად, იმავე ადგილას,  
ნათელი ქოხი წამოჭიმულა.  
კედლები ჰქონდა მას შელესილი

და ქიშკარი-კი მუხა გათლილი,  
ღია სარკმელთან ზის დედაბერი...  
ქმარს დაახვედრა ლანძღვა უშვერი:  
„სულელი ხარ და მეტად ჩერჩეტი,  
რად სთხოვედი: სახლსა გონებაშტერი,  
წადი და სთხოვე: არ მსურს გლეხობა,  
მებოდოს ტახტის აზნაურობა“.  
იევე ზღვისაკენ ის გაეშურა,  
ლურჯი ზღვა ამ დროს არ იყო მშვიდი...  
მოიხმო თევზი და თევზმა ჰკითხა:  
„რაო, მოხუცო რისთვის დაგჭირდი?“  
„ჰო, შემობრალე, თევზთა მეფეო,  
დედაბერი კვლავ გადაირია,  
არ მაძლევს შვებას და მოსვენებას,  
გინება-ლანძღვა უფრო ხშირია.“



შესძულდა, თურმე, ჩემთან გლეხობა,  
ახლა სურს ტახტის აზნაურობა“.  
„ნენ მაგისათვის ნუ დალონდები,  
სახლში წადიო, — თევზმა შესძახა.  
დაბრუნდა სახლში დედაბერთანა  
და მისმა თვალმა რა დაინახა:  
კოშკის ნათელი შუშბანდია  
და დედაბერიც შიგ იმყოფება,  
მას წამოუსხამს სამურის ქურჭი,  
დიდად ჰშვენის და მეტად უხდება;  
ბეჭდით სავსე აქვს ხელის თითები,  
ყელ-ყურზე ჰშვენის მარგალიტები,  
ძვირფას ხავერდის კაბა ძირს დასთრევს,  
ერთგულ მონებს სცემს, ქეჩოდან ათრევს.  
მოხუცმა უთხრა: „სალამს მოგიძღვნი  
დიდას ქალბატონს, ტახტის აზნაურს,  
ახლა-კი, ვგონებ, სრულად დაწყნარდი;  
ხომ მოიპოვე, რაც-კი გულით ვსურს!“  
დედაბერი-კი გაწყრა, განრისხდა,  
მოხუცს უყვირა, გააბანდურა,  
მონებს უბრძანა წაიყვანეთო,  
საჯინბოში მოიმსახურა.

(დასასრული იქნება)



1

დასვენების დღეა.

პოლიო დილით მაინც ადრე ადგა, ხელბირო დაიბანა, თმა კოხტად გადაივარცხნა, შემდეგ წიგნი აიღო, აივანზე გამოიტანა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა.

ბეჯითი ბიჭია...

სახვლიო გაკვეთილს ამზადებს...

მზე ნელა ამოცურდა.

მისი უხვი სხივები პოლიოს სახლის აივანზე შეიჭრა, და ოთახის კრიალა მინები აბრწყვიალდა. აივანზე სითბო დატრიალდა. დილის მზის სითბო ბავშვს ესამოვნა.

მზე აღმოსავლეთით წითელი ბურთივით მოჩანდა.

იგი მიდოდა მაღლისკენ და თანდათან შორდებოდა დიდი სახლების სახურავებს. ამომავალი მზე პოლიოს ოთახიდან ისე იხედებოდა, თითქოს იგი შუა ტფილისიდან ამოცურებულიყო, სადაც მრავალი სახლია ერთმანეთზე მიდგმული.

დედა ოთახში ფუსფუსებს, სადაც აპირებს წასვლას...

აივანზე ჩაიდანნი შიშინებს.

პოლიომ გაკვეთილი რამდენიმეჯერ წაიკითხა, მერე ადუღებულ წყლის ორთქლს გაეთამაშა. დილის მზის თბილი სხივებით მხრები გაუთბა და დედას სიხარულით დაუძახა:

— ხედავ, დედი, დღეს როგორი თბილი მზე ამოვიდა! — პოლიომ გააზმორა, მხრები შეიშმუშნა და დილის სიზანტეს ზურგი შეაქცია.

დედას გაეცინა.

— ახლა ხომ მიხვდი, ჩემო პოლიკო, რომ უკვე სხვა დროა, ერთი თვის წინათ ზაფხული იყო, ცხელოდა, მზის კბენია სხივებს ემაღლებოდა... ასე იცი: შემოდგომამ, მზე საამური ხდება.

— ვიცი... ვიცი, ჩემო დედა. გუშინ ქართულში მასწავლებელმა ახალი გაკვეთილი მოგვცა. ის ლექსია, „შემოდგომა“ ჰქვია.

— მაშ დააკვირდი იმ ლექსს, კარგად წაიკითხე და იქიდან კიდევ უფრო უკეთესად გაიგებ, თუ რით ხასიათდება შემოდგომა.

პოლიომ დედის დარიგება დაიჯერა და ლექსი დაკვირვებით წაიკითხა.

— მართლა კაი ლექსია, პირდაპირ დღევანდელი დღეა აღწერილი, — თავისთვის ჩაილაპარაკა, მხიარულმა პოლიომ. ისე, რომ მისი სიტყვები დედამაც გაიგონა.

დედა ისევ ფუსფუსებს, სახეს ღიმილი უმშვენებს.

— ჩქარა გაიზრდება ჩემი პოლიკო, ბევრ წიგნს წაიკითხავს, მერე ნასწავლი შეილი მეყოლება, — ფიქრობდა საქმეში გართული დედა.

2

აივანზე სუფთად გადაფარებული მაგიდა დგას.

დედამ ჩაი დაამზადა, ჭიქები აავსო. თეთრ ჭიქებში ნარინჯისფრად შეღებილი წყალი მშვენივრად კამკამებს. მაგიდაზე ჩაით სავსე ჭიქებია ჩამწყრივებული, და ორთქლი დინჯად ადის. საინზე დაჭრილი ყველი აწყვია, მაგიდაზე პურია მოთავსებული. მაგიდას სამი სული შემოუსხდა: დედა, შვილი და მამა.

— დღეს ჩვენი დაწესებულება შაბათობას აწყობს და ახლავე უნდა წავიდე. — თქვა მამამ.

— კარგი, შენ იქ წადი, მე და პოლიკო ბაზარში ჩავალთ, სადილის მასალას ვიყიდით. — დედის სიტყვებზე პოლიოს სიცილი აუტყდა.

— სადილს რა ბევრი მასალა უნდა, სახლს ხომ არ ვაშენებთ. ჩვენ სადილს ერთი კილო ხორცი და აბაზის მწვანილი გააკეთებს.

— იცის პოლიომ, იცის... განა პოლიო ტყუილს ამბობს?! — წათამამა მამამ და თავზე მოფერებით გადაუსვა ხელი.

პოლიო კიდევ უფრო გათამამდა, სკამზე აღარ ისვენებს, ცმუკავს...

3

მამა შაბათობაზე წასასვლელად მოემზადა, აივანზე დგას. მას ჭრელი მსუქანი კატა ფეხებზე გაეფხანა, ალბათ, კატასაც ხილავს თბილი მზე და ზანტად იზმორება.

დედამ ჭიქები და კოვზები დასუფთავა, მერე ბაზრისკენ წავიდა. ქუჩაში ბუზივით ირეოდა ხალხი. პოლიო ნემსივით მიძვრებოდა ადამიანებს შორის. იგი ხან წინ უსწრებდა დედას და ხან უკან მისდევდა.

4

ისინი ტფილისის ცენტრალური ბაზრის კარებს მიადგნენ. ბაზარში შესასვლელი კარები ხალხით იყო გაჭვდილი. დედა მიიწვება ბეზრისკენ და თვალს არ აშორებდა იმ სურათებს, შესასვლელ კარებში რომ იყო გამოკიდებული.

სურათში ტფილისის ძველი ბაზრის ძველი ქუჩურემები იყვნენ დახატული: ვაჭრებს ვეება მუცლები ეკიდათ; ვერცხლის ქამრები მათ თითქოს იმისთვის ერტყათ, რომ მუცლები ძირს არ გადმოგორებულყო, ხელში სასწორი ეკავათ და ატყუებდნენ გლეხს, გლეხი კი თვალდაჭყეტილი უცქეროდა.

პოლიომ უცებ შენიშნა ტრამვაის შუა ლიანდაგზე გაწოლილი დიდი ბომბორა ძაღლი. მის მახლობლად კი ურემი იდგა, ურემზე კარტოფილით სავსე ტომარები ეწყო. პატრონი არ ჩანდა.

ამ ბომბორა ძაღლმა პოლიოს ის მოთხრობა მოაგონა, სადაც მეცხვარის ძაღლი იყო აღწერილი.

პუშკინის ქუჩის დაღმართზე ტრამვაი შურღულივით დაეშვა...

პოლიო აყვირდა:

— არიქა, არიქა, არიქა!

შვილის ყვირილზე დედა გაცოფებულივით შემოტრიალდა შეჯგუფებული ხალხიდან.

— რა იყო, შვილო, რა მოგივიდა?!

— აი ძაღლი... ძაღლი... ტრამვაი გაიტანს...

ხალხი აქეთ-იქით მიიჩქაროდა.

მათ ბავშვის ყვირილი გაიგონეს, გაეცინათ და ისევ თავიანთი გზა განაგრძეს.

— წამო, შვილო, ეგ ძაღლი თვითონ ადგება.

პოლიო არ ცხრება.

— არ ადგება, არა, — ისმის ისევ პოლიოს მძაფრი ხმა.

ტრამვაი ახლოვდება, ვატმანი რეკავს ზარს, ძაღლი ისევ წევს, ღრმა ძილშია. ის ფხიზელი ძაღლი იყო, მაგრამ, ალბათ, ქალაქის ხმაურმა დააყრუა და ტრამვაიმ დამუქრებულივით უნდა გასრისოს.

პოლიო სწრაფად გაუსხლტა დედას და მძინარ ძაღლისაკენ გაექანა, მირბოდა, მაგრამ ტრამვაის დაჯახებისაც ეშინოდა. მან მალე მოისაზრა, ქვა აიღო და მძინარ ძაღლს გაარტყა. ძაღლი შეკრაა, წამოხტა ზეზე და მეორე მხრივ გადავიდა, დაქანებულ ტრამვაის ძლივს გადაასწრო.

ბავშვი დამშვიდდა.

დედა აღშფოთებულია.

— რა მოუსვენარი ბავშვია, არ ვიცი რა უნდა მოუხერხო.

ამ დროს ურმის პატრონი გლენიც გამოჩნდა.

მან დაინახა, თუ როგორ გადაარჩინა პატარა პოლიომ მისი ბომბორა ძაღლი, რომელიც ეზოს საუკეთესო ყარაულია.

— ჰაი, შვილო, გაიზარდე დიდი კაცი, გაიზარდე... შვილო, აქ მო ჩემთანა, აი მე რა უნდა მოგცე შენა, — პოლიო მოხუცმა გლენმა ურმისკენ გაიწვია.

— არა, ძია, მე არაფერი არ მინდა.

— იცი რა გითხრა შენა, მე დამიჯერე, აქ მო ჩემთან. აბა ერთი ეგ ჩანთა გაშალევი!

პოლიოს რცხვენოდა, რომ თავისი გულკეთილობისათვის ჯილდოს ღებულობდა. მას არ უნდოდა ჯილდოს მიღება, მაგრამ გლენმა კარტოფილით ძალად გაუხსო ჩანთა.

მან პირველად მიიღო ჯილდო, უხაროდა ჯილდო და თანაც რცხვენოდა, თავს უხერხულად გრძობდა, მაგრამ მადლობის ვადახდა მაინც არ დაავიწყდა:

— გმადლობთ, ძია, გმადლობთ...

— კარგად იყავი, შვილო, კარგათა და ყოველის გამჩენმა ძალამა ჩემი ხანად მოგყაროს, — მოხუცი გლენი გულწრფელად ლოცავდა პოლიოს.

დედა და შვილი ბაზარში შევიდნენ.

პოლიო ამაყად მიდის და ხშირად უცქერის თავის ჯილდოს, ვიღაც გლენმა რომ აჩუქა.

ლევო ჩაღუჯალი

# მაგნიტის მთა

ქალაქ ჩელიაბინსკის სადგურიდან ღამის ცხრისათვის დაიძრა მატარებელი სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით. სრულდება დიდი ხნის ოცნება, სულ რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენ ვიქნებით ქალაქ მაგნიტოგორსკში, რომელიც უკვე მსოფლიოში ცნობილია, როგორც რკინა-ფოლადის გამოძენობი ვიგანტური წარმოება. თუ წინათ მე ოდნავი წარმოდგენა მქონდა რკინის გამოძენობის შესახებ, ამ წაროდგენაში ყველაზე მეტი ადგილი ეკავა უდიდეს ბოლის ყაძალახიან მილებს, ახლა კი, როცა მაგნიტოგორსკის გზას ვადგვივარ, ეს წარმოდგენაც მიქარწყლდება. მწამს, ვნახავ რაღაც არაჩვეულებრივს. კუბეში საშინო ვართ და არცერთს არ შეგვიძლია დავიძინოთ ღელვისა და მოლოდინისაგან.

კუბეს კარი ღიაა. გამცილებელი შენიშვნას გვაძლევს კარი მიეწიოთ, რომ კუბე არ გაცივდეს, ჩვენ კი ფანჯრებთან ვართ აყუდებული. სადგურები აგებულია ნახშირით, კოქსით და რკინით დატვირთული გრძელი პლატფორმებით. ზოგი მათგანი

ცენტრალური რუსეთისაკენ მიდის, ზოგი ვუზნეცკის კომბინატისაკენ და ზოგიც მაგნიტკაში.

ერთ ფანჯარასთან ოქროსფერთმიანი ქალი გაჩერებული და ჩვენსავით გაცქერის ღამეში მიდამოს. ყურს გვიგდებს, ჩვენ ლაპარაკს ვერ ხედება და ასკენის, რომ ჩვენ ვიღაც საზღვარგარელები ვართ.

— თქვენ მაგნიტკისაკენ მიემგზავრებით? — გვეკითხება ის.

— დიახ! ალბათ, თქვენც იქით მოდინართ?

— მე? ქალაქ ტროიციკამდე მხოლოდ. ორი დღის შემდეგ მაგნიტკაში ვიქნები.

— მაგნიტკის წარმოებაში მუშაობთ?

— დიახ. ქიმიური ლაბორატორია მუშაობს.

— მაშ თქვენ დაწვრილებით იცნობთ მაგნიტკას?

— ვიცნობ! — გვეუბნება ქალი და გვიან, ღამის ორ საათამდე გვიამბობს მაგნიტკის შესახებ. ქ. ტროიციკში ჩამოდის ის, ჩვენ ძილი გვეპარება და თავს გვათენდება.



დილა ქარბუქით შეგვხვდა. გზა ნამქერებით არის დაფარული, ორთქლმავალი ნელი ტემპით მიდის. ფანჯრიდან მოჩანს შორეული სოფლები. ზოგ მათგანში საყდრებია. იქ რუსები ცხოვრობენ. ზოგი სოფლები კი უსაყდროა, მჭიდროდ დასახლებული და ბანებიანი, — ეს მუსულმანური სოფელია.

მიდამო ძლიერ გავს ჩვენს შირაქს: დაცემული ტრამალები და ბორცვები, შორს კი მოჩანს რალაც ნაგებობანი: ჩვენის აზრით, ეს საგნიტკის მაახლოვების ნიშანია.

მართლაც, მატარებელი ნელა უახლოვდება იმ შენობებს და აღმოსავლეთისაკენ უხვევს. ბორცვების იქით კი მაგნიტკა ბოლავს ქარბუქის ქატოში გახვეული. ეს მხარე იოანე მრისხანის ოპრიჩნიკებს დაუბყრიათ ყაზანის დაცემის შემდეგ, განუდევნიათ იქიდან ჩინგიზ ყაენების ჩამომავალთა ხელისუფალნი, დაუყვიათ და უბატონიათ. დაპყრობილ მხარეში კულტურის შეტანაზე კი არაფერ ფიქრობდა, ამიტომაც არაფერ იცნობდა იმ უდიდეს სიმდიდრეს, რასაც მაგნიტკის მთა თავის სიღრმეში ფარავდა.

გლენობა და მეჯოგეები ერიდებოდნენ მაგნიტკის გარშემო დასახლებას: მთა მაგნიტკა აშინებდა მათ. შორიდან უვლიდნენ ცხენებით. ცრუმორაწმუნეებს წამდათ, რომ მაგნიტკას ძირში გავლილი ცხენი მიწას ნალებით მიეკვრებოდა.

— ვაჭარი დემიდოვები, რომლებიც მაგნიტკაზე იღებდნენ მადანს, ვერ შოულობდნენ მადნის გადასახილად ცხენებს და შემოკედილ ტრანსპორტს. ამიტომაც მიაგდეს დემიდოვებმა მაგნიტკა, — ასე ფიქრობს ზოგი, მაგრამ ცხადია, რომ დემიდოვებს მაგნიტკის ბუდობების დამუშავებისათვის კაპიტალი არ მოეპოვებოდათ.

მაგნიტკა რჩებოდა ხრიოკად, იქ არ იყო ერთი სახლიც კი, გარდა ტყისმცველის ქოხისა, სადაც ამჟამად გაშენებულია ინჟინერ-ტექნიკოსთა საცხოვრებელი ქალაქი ბერეზკი.

ხუთი წლის წინათ იმ ადგილას, სადაც ახლა ქალაქი მაგნიტოგორსკია, არაფერი არ იყო. ვერაფერ ვერ გაჩვენებსთ ძველი მოსახლეობის ნაშთს.

ახლა კი აქ გაშენებულია ვეებერთელა ქალაქი, სიგრძით და სიგანით გაცილებით მეტი, ვიდრე ტუილისი ან დონის როსტოვი. მაგნიტოგორსკში 25000 მცხოვრებია. ყველაზე ძველი მოქალაქენი მაგნიტკაში არიან ის მუშები, რომლებიც ამ ხუთი წლის წინათ ინჟინრებს დაჰყვებოდნენ ნიველირებით და ლარტყებით მომავალი ქალაქის ადგილის დასაგეგმად.

მისულს ორი რაზმ ეცემა თვალში: მაგნიტკაში არაა საყდარი და რელიგიური კულტის რამე ნიშანი, აგრეთვე არაა ვეებერთელა ქვებითა და ჯვრებით აჭრელებული სასაფლაოები, რაც მაგნიტკისოდენა ქალაქს ჩვევია.

ქალაქი წარმოადგენს რკინა-ფოლადის ვეებერთელა გოდოლს. ფანტასტიკური სანახავია „მაგნიტ-

კა“ უმთვარო ღამეში, ის იმდენად ფანტასტიკურია, რომ რამდენიმე ღამე შეიძლება დაუღალავი ცქერა. რაგში დგას ოთხი ბრძმედი. თითო მათგანი იტევს 1200 შიხტას და ამდენივეს ადნობს.

შიხტა ეწოდება რკინის მადნის, ქვანახშირის, ქვარცების და ჩვენებური კირის ქვის ნარევეს, რასაც ბრძმედში ყრიან ლითონის პირველი სახის, თუჯის გამოსადნობად.

სხვანაირად, ასე ვთქვათ მოფერებით სახელად შიხტას მუშები „პიროგს“ უწოდებენ. ეს სიტყვა თანდათან დევნის გერმანული ჩამომავლობის სახელს შიხტას.

ვინაც პიროგს იცნობს და ამავე დროს შიხტას შემზადების პროცესს ბუნკერებში, იგი „პიროგს“ მისცემს უპირატესობას.

ბუნკერები არის ის საწყობი, საიდანაც შემზადებული პიროგი მექანიკურად, კონვეიერის საშუალებით იყრება ბრძმედში.

ერთხელ ვახურებული ბრძმედი, სანამ მას დნობის უნარი აქვს, მუდამ მადნის დნობის ტემპერატურის შემცველი უნდა იყოს.

ჩამქრალი დომნა ხელმეორედ უნდა აშენდეს.

ამიტომაც დნობის პროცესი წლობის განმავლობაში გრძელდება, და ტემპერატურა 1500 გრადუსს უდრის.

გამდნარი ლითონი მარტენებში გადადის. მარტენებში მზადდება სხვადასხვა ხარისხის ფოლადებო, სიმაგრისა და ჟანგამტანობის მიხედვით.

რკინა თუ თუჯი ფოლადად მაშინ იქცევა, როცა იგი მარტენებში გაივლის ხარშის განსაკუთრებულ რეჟიმს და მიიღებს ახალ შენარევეს — ქრომს, სილიცი, ვოლფრამს, მოლიბდენსა და რენიუმს.

ამ მინარევეებზე დამოკიდებულია ფოლადის სხვადასხვა ხარისხი.

ბრძმედებისა და მარტენების შემდეგ არის შესამე ყველაზე საპასუხისმგებლო საამქრო, რომელმაც ამ საუკუნეში თითქმის ძირფესვიანად შეცვალა რკინის მოპოვების ხერხები, — ეს ვახლავთ საკოქსე ბატარეები.

ბრძმედების პარალელურად ერთ პლატფორმაზე რაგში დგას ვებართელა დასაკოქსი ბატარეები მათი რიცხვი რამდენიმე ასეულს აღემატება.

უდიდესი ამწვევი კრანსახუბავები რიგრიგობით ავსებენ ბატარეებს. ლუმელები გერმეტულად დახურულია და განსაკუთრებული მიღების საშუალებით შიგ უშვებენ ვახურებულ ჰაერს. შემდეგ მას დახურავენ, და მხურვალე ჰაერში ქვანახშირი სიცხით თეთრდება. აქედან განსაკუთრებულ მუჯღჯგნა მანქანით ცეცხლის საზღაპრო მასა იყრება რკინის ვაგონებში და შედის კოშკში, რომლის თავზედაც წყალით სავსე აუზია მოთავსებული. წყალი მექანიკურად ეშვება ცეცხლზე და აქრობს. ორთქლის კორიანტელში ეხვევა გიგანტი ამ დროს და ადამიანი ალაგზე უნდა შეჩერდეს, რომ არ წაიქცეს.

ამ ვიგანტა ვიგანტის გული და მაჯისცემა მო-  
თავსებულია ბრძმედების ბატარეებისა და მარტე-  
ნების შუაგულში, ამ ცეხს ჭვია „ვოზდუხოლუვკა“.  
შედარებით პატარა და თეთრ ურთულეს მანქანა-  
თა შემცველ შენობიდან ხუთ განშტოებით გამოდის  
რკინისგზის ცისტერნების დიამეტრის მქონე კილო-  
მეტრების სიგრძე შილები. ისინი რამდენიმე მეტრის  
სიმაღლეზე ჩამოკიდებული არიან განსაკუთრებულ  
რკინის ანძებზე, კაუპერების ძირში თავდებიან და  
ავსებენ მათ შეკუმშული გრივალით. კაუპერები  
დგანან ბრძმედების გვერდით თითოსთან ხუთხუთი.  
მათი მოცულობა ღრუში ორჯერ მეტია, ვიდრე  
ცისტერნა, ხოლო სიმაღლე ხუთჯერ მეტი. ეს გე-  
ებერთელა რკინის ჰაერსახური შიგნით ამოკებუ-  
ლია ანდებიტით და შეერთებულია მკლავებით თა-  
ვის მოძმე დომნასთან.

ამ პიროგს ერთვის გავრცელებული ჰაერი და ქვა-  
ნახშირის წვასთან ერთად ქმნის ათასგრაღუსიან  
ტემპერატურას.

ლუმელებს, საბოლავებს, მილებსა და გამდნარ  
ლითონებს აქვთ თავისი ქიმიური შემადგენლობის  
შესაფერი ბრწყინვალეობა და ღამეში ათასნაირად  
ელავენ. მათ ემატება ციმციმა ელვის მსგავსი ელექ-  
ტროგენეტიური შედუღების ბრწყინვავა, შლაკის  
ვაგონთა მწკრივების სიწითლე, კოქსის თეთრი ცეც-  
ხლის კედლების შეფავები, ელნათების ასიათასი ლამ-  
პარი, გუგუნის, ბოლის, დგანდგარი, მანქანების  
ძუძუნი, ამწეების მიხვრა-მოხვრა სინათლეთა შო-  
რის, და ყველაფერი თითქოს იძახის: ვაღნობთ რკი-  
ნას, თუჯს, ფოლადს სტალინის ძლევაშოსილ ებო-  
ქისათვის!

ბორის ჩხეიძე

# ღურგალი ჟორჟ ლაკური


ჟორჟ ლაკური ყოველთვის ბინდისას ჩამოდიოდა  
სახლის მაღალი ხარაჩოებიდან, დაიფერთხავდა  
ფიჭვისსურნელიან ვანიერ შარვალს და ჩქარი ნა-  
ბიჯით გაემართებოდა წმინდა ანტონის გარეუბნით.  
სენ-პერის ქუჩის პოლოს, როცა ბინაზე კარს შეა-  
ღებდა, ბავშვები დაუკითხავად ჩამოართმევდენ ჩან-  
თას.

პატარა ჟანა და მტირალა ლუის დედაზე შეტად  
უყვარდათ მამა, რომლის მოსვლისას ძვირფას მარ-  
გალიტის ბრწყინვალა ქვებივით უბრწყინდებოდათ

თვალეები, ხარბად ჭამდენ პურს და ბედნიერ ტი-  
ტინში ჩაეძინებოდათ კიდეც.

დილით ადრე მიდიოდა მამა საღლაც. დედა სა-  
რეცხს რეცხდა, ჟანი და ლუი კი ქუჩაში აღამებდენ,  
საღაც მუდამ სდიოდა ჩონჩორიკისა და სინესტის  
ძომჟავო სუნი.

ნადარევი გაზაფხული იყო. საღამოობით მაგრად  
ყინავდა. ერთ ასეთ საღამოს ჟორჟ ლაკური ადრე და-  
ბრუნდა შინ და საღამოსისა, თარაზოსა და ნაჯახთან  
ერთად პურის მაგივრად თოფი მოიტანა. ბავშვებმა



ჩანთაში პური დაძებნეს, შემდეგ ტირის და ვეიან, დალილებს, როგორც იყო, ჩაქინათ.

იმ დღეებში განუწყვეტლივ ისროდენ თოფებს და გრუხუნებდა ზარბაზნები, რადგან ომი დაიწყო. ქუჩაში ბავშვების თამაში საშიში იყო, აძიტომ უანი და ლუი მთელ დღეებს ოთახში აჯარებდენ, სადაც ჭერზე ხელს ადვილად შეაწვდენდით, და შიმშილის გამო ტირილით გულს უწუხებდენ ისედაც მწუხარე დედას...

მარტის ერთ წვიმიან ღამეს ვეიან მოვიდა ჟორჟ ლაკური კარტოფილით სავსე ტომრით. ბავშვებს ეძინათ. ყულიეტა ფხიზლობდა. ქმრის დანახვაზე გამხიარულდა. ლაკური უფრო გამხდარიყო, ფერი წასვლოდა, ყბები შეღვეწილი უჩანდა. თოფი რომ ისევ მზარზე გაიღვა, ცოლს გაუღიმა, შემდეგ ბავშვებს საბანი ახადა, ფროხილად მიუალერსა და ჩახლეჩილი ხმით თქვა:

— ახლა პრუსიელების მაგიერ ბურჟუებს უნდა ვებრძოლოთ!

ხმა არ ემორჩილებოდა, როდესაც ალერსი დაამთავრა, საჩქაროდ გაიხურა კარი.

ყულიეტა დიდხანს იდგა უძრავად. შემდეგ, როდესაც თვალებიდან, ცრემლები დასცვივდა, ბორძიკით მივიდა კარებთან, ჩაკეტა და პატარებს საბანი წაახურა. გარეთ მარტის ნესტიანი ღამე იყო და ლამაზიდან ნოტიო ქარი უბერავდა...

როცა ზარბაზნების გრუხუნი და თოფების სროლა შეწყდა, პარიზი დაცარიელდა. კოპწია პარიზელი ქალებისა და მოაშივე ვაჟების მაგიერ დიდ ხეივნებში, ბულონის ტყესთან, ელსეიას მინდვრებზე, ოტეილისა და წმინდა ჟერმენის კვარტალებში საქმიანი, ნაბიჯით დადიოდენ ტილოს ხალხიანი ღურგლები, მჭედლები და კალატოზები.

ალარ გუგუნებდენ საეკლესიო ზარები, შავანაფორიანი აბატებიც არ ჩანდენ ქალაქად.

ყულიეტა არ იყო ძუნწი ქალი, მაგრამ კარტოფილი მაინც სათითაოდ დათვალა და გამოზოგვიო

ხარშავდა. უანი და ლუი ჭამდენ და ჩვეულებრივ კმაყოფილი იძინებდენ.

ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა ჟორჟ ლაკური შინ და ცოლს უთხრა:

— ახლა პარიზში უკვე კომუნაა. და დასაწოლად მოემზადა. ყულიეტამ ვერ გაიგო სიტყვის მნიშვნელობა და დაფიქრა. შემდეგ კი ჰკითხა ქმარს:

— რა არის, ჟორჟ, კომუნა?!

მძიმე დალილობის გამო ლაკური უკვე ჩასძინებოდა...

მაშინ გაზაფხული იყო და ბუნება იღვიძებდა.

ვერსალის კარიბჭეებთან მოეყარათ თავი პარიზის მდიდრული უბნების ბინადრებს, ჩვეულებრივად უდარდებოდენ და პარიზში დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდათ.

ტილოს ცისფერხალათიანებს არ უნდოდათ ისევ ბრძოლა, მაგრამ როცა ვერსალის მხრიდან ზარბაზნის ყუმბარება აგრუხუნდა, კომუნის დასაცავად იარაღს ისხამდენ და ვანივის, ისის და სხვა სიმაგრეებთან საფრდებოდენ. ზარბაზნები არ ცხრებოდა, იყო ტყვიის ზუზუნი, ცხენების ნესტოების ფრთქვენა და დაჭრილი ადამიანების საქონლისმაგვარი ზუილი...

მაისს უკვე თავისი ექნა, მაგრამ მენილმონტანის გორაკის სიმწვანე ყუმბარებს შეერუჯა.

იმ დღეს აღმოსავლეთით უკანასკნელ ყუმბარას ისროდა ზარბაზნიდან ჟორჟ ლაკური, მაშინ ზარბაზნის სახელურთან ვერსალელების ყუმბარა გასკდა და პაერში აისროლა ლაკურის ხელი და ფეხის წვივი... და შემდეგ, როცა ყოველივე მიწყნარდა, თოფის წამლის ბოლიც გაფანტა ქარმა, ხრამიდან მოსჩანდა ზარბაზნის სახელურით ცალხელში ჟორჟ ლაკური ღიათ დარჩენილ თვალებით, რომელშიაც ისახებოდა მაისის უძირო ცის პილურჯე...

ვერსალელები ყოყინით მოაჭენებდენ გაოფლებულ ცხენებს.

ლამაზიდან მოჭრილი ქარი ახლადგამოკვირტულ ხეებს აშრიალებდა, შორს, თუნუქისასხურაგებიან სართულებს ზემოთ გაზაფხულის თეთრი და მჩატე ღრუბლები ირეოდენ.

**დავ. შამათავა**

### კოლმეურნის შვილი

რა ლამაზად ჩამომჯდარან  
ფრინველები ხეზე,  
მოხუცები გამოსულან  
გასათბობად მზეზე-  
ცას უჭირავს ლურჯი,  
მოკამკამე არე.  
მზის სხივებში დაკარგულა  
ღამის მწყემსი მთვარე.  
ნასიმინდარ ფართობებში  
ყრია მარტო ჩერო,

გამვლელნი და გამომვლელნი  
იმღერიან „რეროს“.  
ელმწვალის მმართველია  
კოლმეურნის შვილი,  
მამა გაჩადა კოლმეურნე  
და შვილი კი გმირი  
ნასიმინდარ ფართობებში  
ყრია მარტო ჩერო,  
გამვლელნი და გამომვლელნი  
იმღერიან „რეროს“.

5 157



ხშირად გაგიგონიათ ან წაგიკითხავთ, რომ ინდოეთის მარტორქა დიდი ტანის და უშნო ცხოველია, რომელსაც ცხვირის ძვალზე რქა აქვს.

გაგიგონიათ ვეშაპი, რომელიც ზღვაში ცხოვრობს და სუნთქავს ფილტვებით, შვილებს კვებავს თავისი რძით, მოყვანილობით თევზს ჰგავს, მაგრამ თევზი არ არის. ალბათ, გინახავთ ღამურა, — რომელიც ფონინავს ჰაერში, მაგრამ ფრინველი არ არის, შვილებს კვებავს საკუთარი რძით...

ესენი არიან ძუძუმწოვართა კლასის წარმომადგენლები. მაგრამ საინტერესოა იმ ცხოველებს ისტორია, რომელნიც ცხოვრობდნენ ლუძუმწოვართა კლასის წარმოშობამდე, რამდენიმე ათასეული წლას წინათ. ამ ცხოველებს ეძახიან რეფტილიას, ანუ ქვეწარმავალთა კლასს.

არ ახსოვს ცხოველთა ისტორიას ისეთი უზარმაზარი ცხოველები, როგორც რეფტილიები იყვნენ.

ეს კლასი ისე განვითარდა, რომ მათ დაიპყრეს ხმელეთი, წყალი და ჰაერი. ისინი დადიოდნენ ოთხ ფეხზე. სძოდნენ ბალახს და იკვებებოდნენ ხეების ფოთლებით, ცხოვრობდნენ წყალში, დაფრინავდნენ ჰაერში. მათი სიგრძე ათეულ მეტრს აღწევდა.

ისინი სპილოზე ათჯერ უფრო დიდი იყვნენ. ისინი კვერცხებს დებდნენ და ისე ირავდებოდნენ. ამ რეფტილიების წარმომადგენელი იყო დინოზავრი, უზარმაზარი ცხოველი, რომელიც ხმელეთზე ცხოვრობდა. სიგრძით ის 50 მეტრი იყო. მოირაობდა ნელა, რადგან დიდი ტანი ხელს უშლიდა სწრაფ მოძრაობას.

ასეთი უზარმაზარი დინოზავრი იპოვეს აღმოსავლეთ აფრიკაში 1907 წელს; მისი სიგრძე 50 მეტრს უდრიდა; თავი შედარებით პატარა ჰქონდა, კისერი გრძელი — 12 მეტრი; ჰქონდა აგრეთვე გრძელი და სხელი კუდი, რომელზედაც ეყრდნობოდა უზარმაზარი სხეული. ყოველი თითი იყო 60 სანტიმეტრის სიგრძის.

აფრიკაში ნაპოვნი დინოზავრის ჩონჩხი ბერლინის მუზეუმში ინახება.

რეფტილიები წყალშიც ცხოვრობდნენ. ესენი იყვნენ პლეზიოზავრები. პლეზიოზავრები იჭერდნენ თევზებს და მთლიანად ყლაპავდნენ.

იპოვეს პლეზიოზავრის ჩონჩხი, რომელსაც 5 თევზის ჩონჩხი აღმოაჩნდა კუჭში. ჩანს, ხუთივე ერთად გადაუყლაპავს.

შეანინშნავი იყო წყლის რეფტილია ისტიოზავრი (თევზხვლიკი), რომელიც ძალიან წააგავდა თანამედროვე თევზს, მაგრამ თევზი არ იყო. ესეც უზარმაზარი და მტკაცებელი ცხოველი იყო.

აღსანიშნავია მისი დიდი თვალი, რომელიც მოცავსებულა თავს ძვლის კოლოფში.

იყო მფრინავი რეფტილია რამფორინუსი. ის ჰაერ-

ში ფრინავდა, მაგრამ ფრინველი არ იყო (წაშინდა ფრინველი ჯერ კიდევ არ იყო წარმოშობილი).

რამფორინუსის კანი ბუმბულით არ იყო დაფარული, ფრთას კი წარმოადგენდა კანის აპკი, რომელიც გაჭიმული იყო წინა და უკანა ფეხებზე (როგორც ღამურას ფრთები).

ეს მფრინავი რეფტილიებიც უზარმაზარი იყვნენ. გიგანტი ცხოველები ცხოვრობდნენ მეზოძოურ ერაში (მიწის სტორია განიყოფება: პალეოძოოქურ, პალეოძოოქურ, მეზოძოოქურ და კაინოძოოქურ ერად. ამ უკანასკნელ ერაში ვცხოვრობთ ჩვენ).

ამ რეფტილიების კლასს ეკუთვნოდნენ გველი, კუხვლიკი და ნიანგი. ესენიც დიდები იყვნენ — 20-30 მეტრის.

გადაშენდა ეს უზარმაზარი კლასი და დარჩა მხოლოდ ოთხი სახე, ისიც დაკნინებული. ესენი არიან კუხვ, გველი, ხვლიკი და ნიანგი. ამოწყდნენ ეს უზარმაზარი ცხოველები.

მეცნიერებს აინტერესებს ამ უზარმაზარი ცხოველების ბედი, და ასკვნიან, რომ მათი უზარმაზარი ტანი, მაგრამ თავი კი პატარა დაიღუპა ძუძუმწოვრებთან არსებობისათვის ბრძოლაში. მათ ადგილი დაუთმეს ტანით პატარა, მაგრამ ტვინით უფრო განვითარებულ ცხოველებს, — შამალიას (ძუძუმწოვართა კლასს). ამ კლასს ეკუთვნის ადამიანი, რომელიც თავისი მაღალი გონებრივი განვითარებით განსხვავდება თავისი კლასის ცხოველებისაგან.

ნუთუ ბუნებაში აღარ გამოვრდებოდა ასეთი დიდი ფორმები? რაღა თქმა უნდა, რეფტილიების კლასი აღარ განვითარდება. შესაძლებელია ის ფორმებიც მოიპოვონ, რომელიც ახლა ცხოვრობენ! კუხვ, გველი, ხვლიკი და ნიანგი.

ჯერჯერობით ძუძუმწოვართა კლასის წარმომადგენლები 24 მეტრს აღწევს. ეს არის გრელანდიის ვეშაპი, რომლის წონა 250 ფუთია.

ალბათ, თქვენ დაგებადებათ კითხვა: ჩვენში თუ იყვნენ ეს ცხოველები?

— დიახ, ყოფილან, და ამას ადასტურებს ტფილისის მიდამოებში ნაპოვნი რეფტილიას გაქვავებული ძვალი, რომელიც ინახება მე-4 შრომის სკოლაში და აგრობიოსადგურებში. თქვენ რომ ნახოთ ეს გაქვავებული ძვალი, უსათუოდ გაგიკვირდებათ: ნუთუ ასეთი დიდი ცხოველი არსებობდა! მთარ შემადგენელ შრეებში გეოლოგებს ხშირად ხვდებათ გაქვავებული ცხოველები, არა მარტო რეფტილიები, არამედ სხვა ცხოველებიც: ზღარბები, მარჯნები, ამონიტები, ნუმულიტები და სხვა.

ჩვენშიც ბლომად მოიპოვება გაქვავებული ცხოველები რაჭის და აფხაზეთის მთებში. ტფილისის მთა წმინდის შემადგენელ შრეებში მოიპოვება პატარა ერთფჯრედიანი გაქვავებული ცხოველი ნუმულიტისი.